




კონკურენტული ინოვაციის
ფონდის (CIF)
შედეგების შეჯამება
(2022-2026)





„ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი -
საქართველო I2Q (WB)“

2026

კონკურენტული ინოვაციის ფონდის საგრანტო კონკურსი

უმაღლესი
საგანმანათლებლო
დაწესებულებებისათვის



სარჩევი

<u>1. შესავალი</u>	4
<u>2. საგრანტო კონკურსების მიმოხილვა</u>	6
<u>3. საგრანტო კონკურსების შედეგები</u>	9
<u>3.1 სწავლების სფეროების მრავალფეროვნება</u>	9
<u>3.2 აკადემიური პროგრამების განვითარება</u>	11
<u>3.3 ახალი აკადემიური პროგრამების შემუშავება</u>	11
<u>3.4 საერთაშორისო აკრედიტაცია</u>	12
<u>3.5 ერთობლივი პროგრამების განვითარება</u>	13
<u>3.6 მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაუმჯობესება</u>	14
<u>4. საზოგადოების ჩართულობა</u>	16
<u>5. ინოვაციები</u>	18
<u>6. შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერება</u>	20
<u>7. მდგრადობა</u>	21
<u>8. დანართები</u>	21

1. შესავალი

პროექტი „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q(WB)“ (I2Q პროექტი) ეფუძნება საერთაშორისო სასესხო ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს მთავრობამ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან (IBRD) 2019 წლის 18 ივნისს (სასესხო ხელშეკრულება №8955-GE) გააფორმა. პროექტი ხუთ ძირითად კომპონენტს მოიცავს. მესამე - უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსების შესაძლებლობების გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერაზე ორიენტირებული - კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს, სწორედ, კონკურენტული ინოვაციის ფონდის (Competitive Innovation Fund/CIF) ჩამოყალიბება წარმოადგენდა.

პირველ ეტაპზე, დაიგეგმა და განხორციელდა სამუშაოები CIF-ის მარეგულირებელი დოკუმენტაციის სრული პაკეტის მოსამზადებლად. 2021 წელს, დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში, პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლები. შედეგად, ჩამოყალიბდა CIF-ის მართვის სახელმძღვანელო

(სახელმძღვანელო/OM), რომელსაც თან ერთვის ყველა შესაბამისი დოკუმენტის წინასწარ შემუშავებული ფორმები და ინსტრუქციები (15 დანართი). სახელმძღვანელოში მოცემულია CIF-ის ორგანიზაციული სტრუქტურა, მართვის პრინციპები და ამოცანები, მისი განხორციელების მექანიზმები, ასევე, ფუნქციები და პროცედურები. სახელმძღვანელო შეთანხმებულია მსოფლიო ბანკთან და დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით (№582615; 02.06.2022).


სასესხო ხელშეკრულებისა და I2Q პროექტის მართვის სახელმძღვანელოს პირობების შესაბამისად, CIF სამინისტროს სტრუქტურის ფარგლებში ჩამოყალიბდა, ასევე სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღების, საგრანტო კონკურსის პრიორიტეტებისა და თემატიკის განსაზღვრისა და CIF-ის ბიუჯეტის დამტკიცების მიზნით -

მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა გრანტების გამცემი და საჩივრების განმხილველი კომისიების შემადგენლობა (ბრძანება №844623; 26.07.2022). საგულისხმოა, რომ გრანტების გამცემი კომისია წარმოადგენს უმაღლეს ინსტიტუციურ რგოლს CIF-ის მიზნებისათვის. ამასთან, CIF-ის ყოველდღიური საქმიანობის ხელშესაწყობად, I2Q პროექტის ფარგლებში, შეიქმნა CIF-ის ადმინისტრირების ერთეული, რომელიც ოთხი თანამშრომლისგან იყო დაკომპლექტებული.

CIF-ის, როგორც უმაღლესი განათლების დივერსიფიცირებული დაფინანსების ერთ-ერთი მექანიზმის, მთავარ მიზანს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უსდ/დაწესებულებები) განვითარების ხელშეწყობა, მათი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გარემოს სწრაფი მოდერნიზაცია და დასაქმების ბაზართან კავშირების გაძლიერება წარმოადგენს. CIF უზრუნველყოფს საგრანტო კონკურსის გზით უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებების მიზნობრივ ფინანსურ მხარდაჭერას. CIF ხელს უწყობს დაწესებულებებს, რომ სახელმწიფო პრიორიტეტების შესაბამისად, მიაღწიონ მათი სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახულ მიზნებს, დანერგონ ინოვაციური მიდგომები სწავლა-სწავლების პროცესში და გააძლიერონ დასაქმების ბაზართან კავშირები დედაქალაქსა და რეგიონებში, საჯარო და კერძო უსდ-ებთან, სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

12Q პროექტის ფარგლებში, 2022-2023 წლებში, CIF-ის 2 საგრანტო კონკურსი ჩატარდა. გრანტების გამცემი კომისიის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ჯამში 4.2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის საგრანტო თანხა განაწილდა 27 საგრანტო პროექტის დასაფინანსებლად.



2. საგრანტო კონკურსების მიმოხილვა

CIF-ის პირველ საგრანტო კონკურსში (კონკურსი გამოცხადდა 12Q პროექტის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით №1499544; 24.11.2022) მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ იქნა 30 საგრანტო განაცხადი. საპროექტო წინადადებები შეფასდა მსოფლიო ბანკის შესყიდვების პროცედურების შესაბამისად, საერთაშორისო

ტენდერის გზით შერჩეული საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის მიერ (თითოეული განაცხადის შეფასებაში ჩართული იყო მინიმუმ 2 - ადგილობრივი და საერთაშორისო შემფასებელი). შედეგად, გრანტების გამცემი კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი №4, 12.06.2023), საგრანტო დაფინანსება მიიღო ჯამში 13-მა საგრანტო პროექტმა. პირველი საგრანტო კონკურსის გამარჯვებული 13 პროექტისათვის საგრანტო ხელშეკრულებები შეთანხმდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 აგვისტოს №1499 დადგენილებით (დაფინანსებული პროექტების სრული სია, დანართი №1).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია პირველ საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ პროექტებში მონაწილე უსდ-ების განაწილება საპროექტო განაცხადის ტიპის, დაწესებულების ტიპისა და ადგილმდებარეობის მიხედვით (იხ. დიაგრამა №1, დიაგრამა №2 და დიაგრამა №3).



დაფინანსებული პროექტების ფარგლებში წარმატებით დამყარდა საერთაშორისო პარტნიორობა ისეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, როგორებიცაა:

- ლუნდის უნივერსიტეტი (შვედეთი);
- გრინვიჩის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);
- სიბელიუსის აკადემია (ფინეთი);
- მადრიდის ხუან კარლოსის სახელობის უნივერსიტეტი (ესპანეთი);
- ბერლინის ეკონომიკისა და სამართლის უმაღლესი სკოლა (გერმანია);
- რუდოლფ შტაინერის საუნივერსიტეტო კოლეჯი (ნორვეგია);
- ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტი (ესპანეთი);
- კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი);

- ლინკოპინგის უნივერსიტეტი (შვედეთი);
- სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ);
- გალფის სამედიცინო უნივერსიტეტი;
- ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი (აშშ);
- ბერლინის უნივერსიტეტი (გერმანია);
- ცინცინატის უნივერსიტეტი (აშშ);
- ლოიოლას უნივერსიტეტი (აშშ);
- იუტას უნივერსიტეტი (აშშ);
- საფოლკის უნივერსიტეტი (აშშ).

საგულისხმოა, რომ CIF-ის მეორე საგრანტო კონკურსში (კონკურსი გამოცხადდა 12Q პროექტის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით №1242838; 26.09.2023) მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა 1,5-ჯერ გაიზარდა (53,3%). კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილ იქნა 46 საგრანტო განაცხადი. მეორე საგრანტო კონკურსში მონაწილეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა პირდაპირ დაკავშირებული იყო რამდენიმე ფაქტორთან:


ა) პირველი კონკურსის წარმატებულმა განხორციელებამ გამოავლინა პროგრამის ეფექტურობა;

ბ) დაინტერესებულ მხარეებთან და მიზნობრივ ჯგუფებთან ინტენსიურმა სამუშაო შეხვედრებმა უზრუნველყო ფართო აუდიტორიის ინფორმირება პროგრამის შესაძლებლობებისა და მისაღწევი შედეგების შესახებ;

გ) პირველი კონკურსის შედეგად უსდ-ებისთვის მიწოდებულმა კონსტრუქციულმა უკუკავშირმა პროექტების წერის, საგრანტო განაცხადების შევსებისა და საკონკურსო მოთხოვნების გაცნობიერების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად გააძლიერა მათი პოტენციური მონაწილეობის ხარისხი და მოტივაცია.

CIF-ის მეორე საგრანტო კონკურსის შედეგად, გრანტების გამცემი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე (ოქმი №8, 12.04.2024), ჯამში 14-მა საგრანტო პროექტმა მიიღო დაფინანსება. მეორე საგრანტო კონკურსის გამარჯვებული 14 პროექტისათვის საგრანტო ხელშეკრულებები შეთანხმდა საქართველოს მთავრობის 2024 წლის 6 ივნისის №817 დადგენილებით (დაფინანსებული პროექტების სრული სია, დანართი №2).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია მეორე საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ პროექტებში მონაწილე უსდ-ების განაწილება საპროექტო განაცხადის ტიპის, დაწესებულების ტიპისა და ადგილმდებარეობის მიხედვით (იხ. დიაგრამა №4, დიაგრამა №5 და დიაგრამა №6).



დაფინანსებული პროექტების ფარგლებში წარმატებით დამყარდა საერთაშორისო პარტნიორობა ისეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, როგორებიცაა:

- ბოლონიის უნივერსიტეტი (იტალია);
- მაგდებურგის ოტო ფონ გერიკეს უნივერსიტეტი (გერმანია);
- ესტონეთის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტი (ესტონეთი);
- იულიხის კვლევითი ცენტრი (გერმანია);
- მილანის უნივერსიტეტის UNIMONT კვლევითი ცენტრი (იტალია);
- თურქეთის რესპუბლიკის კავკასიის უნივერსიტეტი;
- შვედეთის აგრარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (შვედეთი);
- ტამპერეს უნივერსიტეტი (ესპანეთი);
- სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ);
- ევრის უნივერსიტეტი (საფრანგეთი);
- ვესტფალიის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი (გერმანია);
- კაპოდისტრიის სახელობის ათენის ეროვნული უნივერსიტეტი (საბერძნეთი);
- კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრი (პოლონეთი);
- ადელფაის უნივერსიტეტი (აშშ);
- გრაცის უნივერსიტეტი (ავსტრია);
- რენის გამოყენებითი მეცნიერებების ეროვნული ინსტიტუტი (INSA Rennes) (საფრანგეთი).

3. საგრანტო კონკურსების შედეგები

3.1 სწავლების სფეროების მრავალფეროვნება

2022 წელს გამოსაცხადებელი პირველი საგრანტო კონკურსისათვის გრანტების გამცემი კომისიის მიერ განისაზღვრა პრიორიტეტებისა და თემატიკის შემდეგი ჩამონათვალი:

- უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით, ერთობლივი აკადემიური ხარისხის (მათ შორის, ე.წ. „ორმაგი ხარისხის“) მინიჭების და/ან საერთაშორისო აკრედიტაციის ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება;
- შრომის ბაზრის საჭიროებებზე (მათ შორის, საქართველოს რეგიონების სპეციფიკურ საჭიროებებზე) მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება (სმარტსპეციალიზაცია, მესამე მისია და სხვ.);
- პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება;
- ინდუსტრიასთან/კერძო სექტორთან თანამშრომლობის ხელშეწყობა (დამსაქმებლის საჭიროებაზე მორგებული ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება (ერთობლივი სწავლება/სტაჟირება, კვლევები/სხვა ინიციატივები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, მათ შორის, სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამები);
- სამეწარმეო განათლების განმავითარებელი პროექტები/პროგრამები.

თემატიკის შესაბამისად, საგრანტო განაცხადების წარდგენა შესაძლებელი იყო საქართველოში მოქმედი „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ განსაზღვრული ნებისმიერი ფართო სფეროდან. შედეგად, პირველი საგრანტო კონკურსით დაფინანსებული პროექტები ფარავს სწავლის სფეროების მრავალფეროვან სპექტრს: ა) ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა; ბ) ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები; გ) ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი; დ) ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა; და ე) ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები.

2023 წელს გამოსაცხადებელი მეორე საგრანტო კონკურსისათვის გრანტების გამცემი კომისიის მიერ განისაზღვრა როგორც კონკურსის თემატიკა, ასევე დაზუსტდა პრიორიტეტული სწავლის სფეროების ჩამონათვალიც. ამდენად, CIF-ის მეორე საგრანტო კონკურსი გამოცხადდა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ ქვემოთ ჩამოთვლილ ფართო სფეროებს:



- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა;
- ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები;
- ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა;
- სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია;
- განათლება;
- ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა.

თემატიკის ნაწილში, მეორე საგრანტო კონკურსისათვის განისაზღვრა სამი ძირითადი პრიორიტეტი:

1. სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ინდუსტრიის/დამსაქმებლის საჭიროებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივად, მათ შორის, საჯარო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პარტნიორობით, შექმნა/განვითარება/განხორციელება (ერთობლივი სწავლება/სტაჟირება ან/და სხვა ინიციატივები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, მათ შორის, სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამები);
2. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით, ერთობლივი აკადემიური ხარისხის (მათ შორის, ე.წ. „ორმაგი ხარისხის“) მინიჭების და/ან საერთაშორისო აკრედიტაციის ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ აღიარებული უცხოური ორგანიზაციის აკრედიტაციის მინიჭების მიზნით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე წარმოდგენილია ორივე საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების სტატისტიკური განაწილება სწავლის ფართო და დეტალური სფეროების მიხედვით (იხ. დიაგრამა №7 და №8).








3.2 აკადემიური პროგრამების განვითარება

CIF-ის განხორციელებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქვეყნის მასშტაბით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში. ორივე კონკურსის ფარგლებში განახლდა სულ 67 აკადემიური პროგრამა, რაც მოიცავს როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში მდებარე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ადგილმდებარეობის მიხედვით, განახლებული პროგრამების დაახლოებით 75% (50 აკადემიური პროგრამა) ხორციელდება დედაქალაქში მდებარე უსდ-ში, ხოლო 17 პროგრამა - რეგიონულ დაწესებულებებში. ეს ხელს უწყობს რეგიონებში აკადემიური განათლების ხარისხის ამაღლებას. დაწესებულების ტიპის მიხედვით, განახლებული პროგრამების დაახლოებით 85% (56 აკადემიური პროგრამა) ხორციელდება სახელმწიფო უსდ-ებში, ხოლო 11 პროგრამა - კერძო უსდ-ში (პროგრამების სია, დანართი №3).

3.3 ახალი აკადემიური პროგრამების შემუშავება

გარდა არსებული პროგრამების განვითარებისა, CIF-ის საგრანტო დაფინანსებით შეიქმნა ექვსი ახალი აკადემიური პროგრამა:

1. საჯარო მმართველობის სამართლის სამაგისტრო პროგრამის კონცეფცია (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
2. კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისთვის (CSS4D). მოიპოვა ადგილობრივი აკრედიტაცია (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
3. სამაგისტრო პროგრამის „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება“ (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი);
4. სამაგისტრო პროგრამა „უმაღლესი განათლების სისტემები და ინსტიტუციური ინოვაცია“. მოიპოვა საერთაშორისო აკრედიტაცია FIBAA (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი);
5. ერთობლივი საგანმანათლებლო სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამა კიბერუსაფრთხოება. მოიპოვა ადგილობრივი აკრედიტაცია (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი);
6. კომპიუტერული მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა. ორმაგი ხარისხის მინიჭების შესაძლებლობით კონსორციუმის მონაწილე პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთად (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
7. სადოქტორო პროგრამა „მოლექულური პათოლოგია“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
8. სადოქტორო პროგრამა „ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული მოდელის შექმნა ფილტვის ადენოკარცინომის დიაგნოსტიკაში დიფერენციაციის ხარისხის (გრეიდის) და პროგნოზული სტრატეგიკაციის ავტომატიზაციისთვის“ (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი);
9. „უნივერსიტეტაშორისი სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა „ტრანსლაციური და კლინიკური ნევროლოგია“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).



3.4 საერთაშორისო აკრედიტაცია

საერთაშორისო აკრედიტაციის მექანე საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის ზრდა ქართული უსდ-ებისთვის არის გლობალური აღიარების, კონკურენტუნარიანობისა და ხარისხის გარანტიის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ის ადასტურებს, რომ აკადემიური პროგრამები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ზრდის ქართველი კურსდამთავრებულების მობილობასა და დასაქმების შესაძლებლობებს საზღვარგარეთ, ხელს უწყობს უცხოელი სტუდენტებისა და პროფესორების მოზიდვას საქართველოში და, ამავდროულად, ახალისებს უნივერსიტეტების შიდა განვითარებას საუკეთესო პრაქტიკების დანერგვის გზით. ამ მიზნის მისაღწევად, ადგილობრივი უსდ-ებისათვის CIF დაფინანსება მნიშვნელოვან ხელშეწყობს მექანიზმად ჩამოყალიბდა. CIF-ის ფარგლებში სრულად დაფინანსდა 11 აკადემიური პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციის ღირებულება:

1. ერთობლივი სადოქტორო პროგრამა „განათლებისა და მეცნიერების მართვა და ადმინისტრირება“ - საერთაშორისო აკრედიტაცია FIBAA (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კაპოდისტრიის სახელობის ათენის ეროვნული უნივერსიტეტი);
2. ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა „პროფესიული განათლება“ - საერთაშორისო აკრედიტაცია FIBAA (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ოტო-ფონ-გუერიკე-მაგდებურგის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით);
3. სამაგისტრო პროგრამა „პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების მართვა“ - საერთაშორისო აკრედიტაცია FIBAA (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
4. სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“ - საერთაშორისო აკრედიტაცია FIBAA (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
5. სამაგისტრო პროგრამა „უმაღლესი განათლების სისტემები და ინსტიტუციური ინოვაცია“ - საერთაშორისო აკრედიტაცია FIBAA (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი);
6. საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა - საერთაშორისო აკრედიტაცია MusiQuE (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია);
7. საშემსრულებლო ხელოვნების სამაგისტრო პროგრამა - საერთაშორისო აკრედიტაცია MusiQuE (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია);
8. კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამა - საერთაშორისო აკრედიტაცია MusiQuE (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია);
9. კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა - საერთაშორისო აკრედიტაცია MusiQuE - (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია);
10. მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - საერთაშორისო აკრედიტაცია MusiQuE (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია);
11. მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა - საერთაშორისო აკრედიტაცია MusiQuE (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია).

CIF-ის ფარგლებში
სრულად დაფინანსდა

11

აკადემიური პროგრამის
საერთაშორისო
აკრედიტაციის
ღირებულება

3.5 ერთობლივი პროგრამების განვითარება

CIF-მა შექმნა ერთობლივი აკადემიური პროგრამების განვითარების ხელშეწყობის დამატებითი შესაძლებლობები. საგულისხმოა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის 1-ელი სექტორული პრიორიტეტის შესაბამისად (ამოცანა 1.4.2: „სტუდენტებისთვის საერთაშორისო სასწავლო გამოცდილების მიღებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“; ამოცანა 1.4.3: „საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა“), გამოიკვეთა ქვეყანაში ერთობლივი/ორმაგი ხარისხის აკადემიური პროგრამებისა და სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების განვითარების აუცილებლობა. I2Q პროექტის მე-3 კომპონენტის - უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერისკენ მიმართული (3.3 ქვე-კომპონენტი) - ფარგლებში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კაპოდისტრიის სახელობის ათენის ეროვნული უნივერსიტეტის პარტნიორობით შექმნილი ერთობლივი სადოქტორო პროგრამისათვის, CIF აღმოჩნდა დამატებითი მხარდაჭერის უნიკალური შესაძლებლობა. საგრანტო დაფინანსებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის შესაძლებელი გახდა ახალი ერთობლივი სადოქტორო პროგრამის - „განათლებისა და მეცნიერების მართვა და ადმინისტრირება“ - FIBAA-ს საერთაშორისო აკრედიტაციისათვის მომზადება და აკრედიტაციის სრული ხარჯის დაფარვა.

CIF-ს კიდევ ერთი პროექტის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა კონსორციუმის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და ლინკოპინგის უნივერსიტეტის შემადგენლობით, შემუშავდა ახალი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა - „კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისათვის“ (CSS4D), რომელსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ერთობლივად განახორციელებენ.

კომპიუტერული მეცნიერების ახალი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა შეიქმნა CIF-ით დაფინანსებული კონსორციუმის ფარგლებში, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ევრის უნივერსიტეტი და ვესტფალიის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი. ამ პროექტით, ახალი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის შექმნის პარალელურად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განავითარა ევრის უნივერსიტეტთან პარტნიორობით ორმაგი ხარისხის მქონე კომპიუტერული მეცნიერების არსებული საბაკალავრო პროგრამის სასწავლო მასალებიც. პროგრამამ წარმატებით გაიარა რეაკრედიტაცია.



ერთობაშია საერთაშორისო საფორუმო პროგრამის - „განათლებისა და მეცნიერების მართვა და აღმშენებლობა“ - სემინარი საფორუმო სკოლა ჩატარდა

[illegible]


თსუ-სა და EBSU-ს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა - „კომპიუტერული სოციალური მეცნიერებები განვითარებისათვის - სტუდენტებს 2025 სლიდაზ შიილებს

[illegible][illegible]

3.6 მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სამეცნიერო-კვლევითი კოტენციალის გაუმჯობესება

CIF-ის თითქმის ყველა პროექტის ფარგლებში სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურითა და ტექნოლოგიური რესურსებით (მათ შორის, ჰიბრიდული სასწავლო ინფრასტრუქტურით) გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები. საგულისხმოა, რომ CIF-ის დაფინანსებით შეიქმნა ფართო სასწავლო და კვლევითი მნიშვნელობის მქონე 30 ლაბორატორია 13 დაწესებულების ბაზაზე (დეტალურად იხ. დანართი №4). ქვემოთ მოცემულია რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი:


- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტში უნივერსიტეტთაშორისი ტრანსლაციური ნეირომეცნიერების ლაბორატორიის შექმნა (ლაბორატორიის გახსნის ღონისძიება გაშუქდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, ტრანსლაციური ნეირომეცნიერების ლაბორატორია - 1TV);
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტში შეიქმნა „მოლეკულური პათოლოგიის უნივერსიტეტთაშორისი ლაბორატორია, ჰაბი“;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა სასწავლო და კვლევითი ICT ჰაბი, რომელიც გამართულია ტექნოლოგიურად და პროგრამულად (<https://tsu-ict-hub.tsu.ge/#results>);
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურსცენტრის აღჭურვა ტრანსკრანიალური მაგნიტური სტიმულაციის (TMS) აპარატით, რაც მნიშვნელოვანია ფსიქიკური კეთილდღეობისთვის და ფსიქიკური ჯანმრთელობის სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად (დაინერგა ტრანსკრანიალური მაგნიტური სტიმულაციის სომატური თერაპიის მეთოდი; TMS მკურნალობის საჭიროების მქონე პირებისთვის მომსახურება სრულიად უფასოა, ტრანსკრანიალური მაგნიტური სტიმულაცია (ტმს) – ახალი სერვისი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში - ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი);
- ობიექტურად სტრუქტურირებული სწავლების შეფასების (OSTE) სადგურების დანერგვა ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამედიცინო პროგრამებში (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო);
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ფარგლებში გეოინფორმაციული სისტემების (GIS) ლაბორატორიის და მთის მდგრადი განვითარების ცენტრის შექმნა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე სასწავლო ლაბორატორიების შექმნა თანაბარი უფლებებისათვის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის;



- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ვეტერინარული კლინიკის მოწყობა, რაც უკავშირდება აუდიტორულ სწავლებაში სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენებას, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (OSCE) და პრაქტიკული (OSPE) მეთოდების დანერგვას (ვეტერინარული კლინიკები CIF-ის ფარგლებში ჯამში 3 დაწესებულებაში მოეწყობა);
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბაზაზე მექატრონიკის ლაბორატორიის მოწყობა, რაც მნიშვნელოვანია მექატრონული სისტემების სწავლების დანერგვისათვის საზღვაო აკადემიის საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიული სწავლების პროგრამების ფარგლებში;
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ე.წ. „ჭკვიანი სათბურის“ სისტემის მოწყობა (შესაბამისი ელექტრონიკითა და სენსორებით; სათბურების სისტემა აგებულია საკუთარი შიდა მოწყობილობებით);
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ალტე უნივერსიტეტის ბაზაზე დრონებისა და ჭკვიანი მოწყობილობების ლაბორატორიების მოწყობა (სასწავლო დრონებით და აგროდრონებით, მიკროკონტროლებით, ელექტრონიკის ნაკრებებით, სენსორებითა და საზომი მოწყობილობებით, ასევე შესაბამისი კომპიუტერული ლაბორატორიით). აღნიშნულმა რესურსებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეღვინეობის სამაგისტრო და აგრონომიის საბაკალავრო პროგრამების განვითარებაში (პროგრამებს დაემატა 10 სასწავლო კურსი, მათ შორის, ბიოინფორმატიკა მევენახეობაში, გეოინფორმაციული სისტემების გამოყენება სოფლის მეურნეობაში; ხელოვნური ინტელექტი სოფლის მეურნეობის მეცნიერებებში; დრონები სოფლის მეურნეობის მართვაში; ჭკვიანი სისტემები მევენახეობისთვის; გამოყენებითი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები). პროექტის ფარგლებში ახალი ლაბორატორიები გამოყენებულ იქნა სტუდენტური საერთაშორისო ბანაკის ორგანიზების მიზნებისთვისაც (CIF პროექტი - სტუდენტური ბანაკი თელავში).

CIF-ით დაფინანსებული პროექტების ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა 13 სამეცნიერო სტატია და კვლევის ანგარიში (დეტალური ინფორმაციისთვის, იხ. დანართი №5).

**CIF-ის დაფინანსებით
შეიქმნა ფართო სასწავლო და
კვლევითი მნიშვნელობის
30 ლაბორატორია
13 დაწესებულების ბაზაზე**




4. საზოგადოების ჩართულობა

CIF-ის დაფინანსება ხელმისაწვდომი იყო დაწესებულებებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მათი სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, მკვლევრების, პოტენციური დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სასარგებლო ახალი ინიციატივების განხორციელებასა და სწავლებას, ასევე, კვლევაში ინოვაციური მიდგომების დანერგვას. CIF-ის შედეგები პოზიტიურად აისახება როგორც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამომავლო ანგარიშებში, ასევე საქართველოს და ინდივიდუალური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო სასწავლო დასამეცნიერო რეიტინგებსა და დასაქმების სტატისტიკაში. გრძელვადიან პერსპექტივაში, CIF შედეგებმა უნდა გააუმჯობესოს ინოვაციებთან დაკავშირებული ძირითადი მაჩვენებლები, სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გაცემულ საგრანტო პროექტებთან ერთად.

I2Q პროექტის ფარგლებში ჩატარებული ორი საგრანტო კონკურსის შედეგად, დაფინანსებულ პროექტებში უშუალოდ იყო ჩართული დაახლოებით 5,000 დაინტერესებული პირი (სტუდენტები, ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები, იგულისხმება: დამსაქმებლები, მოწყვლადი ჯგუფები, სკოლის მოსწავლეები და სხვ. იხ. ქვემოთ დიაგრამა №9).

დიაგრამა №9. საზოგადოების ჩართულობის კომპონენტი





5. ინოვაციები

CIF-ის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების შეფასების ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს გამოყენებული კონცეფციებისა და მეთოდოლოგიის ინოვაციურობის, სიახლისა და უნიკალურობის დასაბუთება. შესაბამისად, ბენეფიციარებისათვის მნიშვნელოვანი იყო პროექტში ინოვაციურობაზე აქცენტირება სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, თუ ტექნოლოგიური მოდერნიზების მიმართულებით; ხოლო ადგილობრივი და საერთაშორისო შემფასებლები თითოეულ პროექტს აფასებდნენ იმის მიხედვით, რამდენად ინოვაციური და ამბიციური იყო შემოთავაზებული სამუშაო, და აღემატებოდა თუ არა იგი კონკრეტულ დარგში არსებულ თანამედროვე მიდგომებს ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით.

შედეგად, ორივე საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების საშუალებით შემუშავდა ახალი ინოვაციური სასწავლო კურსები 73 აკადემიურ პროგრამაში, დაინერგა ახალი სწავლებისა და შეფასების მიდგომები, განახლდა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო დაწესებულებებში აუდიტორიები და ლაბორატორიები. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითი:

❖ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის პროგრამების განვითარების მიმართულებით:

- o ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებით შექმნილი ვირტუალური პაციენტების პროგრამები, „augmented reality“-ის შესაძლებლობები და ანტივიბრაციული მაგიდა ტრანსლაციური ნეირომეცნიერების თანამედროვედ აღჭურვილი საუნივერსიტეტო-შემოწმის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიაში;
- o OSTE-ს სადგურები, მოლეკულური პათოლოგიის უნივერსიტეტო-შემოწმის ლაბორატორია („ჰაბი“);
- o მიკრომორფოლოგიური პრეპარატების ციფრული ბაზის შექმნა და სხვ.

❖ ინჟინერიის მიმართულებით:

- o მექატრონიკის ლაბორატორიის აღჭურვა თანამედროვე რესურსებით ბათუმის საზღვაო აკადემიაში;
- o დისტანციური ლაბორატორიული ექსპერიმენტის ტექნოლოგიის განვითარება საინჟინრო სწავლებისათვის;
- o მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარების სრულიად ახალი სამაგისტრო პროგრამის შექმნა და სხვ.

❖ სოფლის მეურნეობის მიმართულებით:

- o აგროტექნოლოგიების ინოვაციური კურსების შემუშავება;
- o დრონებისა და ჭკვიანი მოწყობილობების ლაბორატორიების შექმნა.

❖ ვეტერინარიის მიმართულებით:

- o ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების პრაქტიკული მომზადებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამის განვითარება და ვეტერინარული კლინიკების ახალი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით აღჭურვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ევროპის უნივერსიტეტის ბაზაზე;
- o პრეკლინიკურ და კლინიკურ სასწავლო კურსებში სწავლისა და შეფასების

თანამედროვე, ინოვაციური - ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური (OSCE) და პრაქტიკული (OSPE) - მეთოდების დანერგვა, ასევე ვეტერინარული მიმართულების ლაბორატორიებისა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

❖ **ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სოციალური კეთილდღეობის სფეროში:**

- o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურსცენტრის აღჭურვა ტრანსკრანიალური მაგნიტური სტიმულაციის (TMS) აპარატით;
- o მულტიდისციპლინური/მულტიპროფესიული სასწავლო პრაქტიკული ლაბორატორიის (ჰაბი) შექმნა, შშმ პირების სოციალური ინტეგრაციისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

❖ **ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში:**

- o „ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრის/ლაბორატორიის“ შექმნა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე და აქსელერაციის პროგრამის პილოტირება კავკასიის უნივერსიტეტისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ბუთექემფის მეშვეობით;
- o ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კურსებში (მეწარმეობა (ქართ.) BBA, პრაქტიკული მეწარმეობა (ქართ.) BBA, პრაქტიკული სოციალური მეწარმეობა (ქართ.) BBA, შესავალი მეწარმეობაში (ინგ) BBA, შესავალი მეწარმეობა კულტურაში (ქართ.) კულტურის მენეჯმენტში) სამეწარმეო განათლების ახალი მიდგომების დანერგვა, სტარტაპების მხარდაჭერის სისტემისა და ექსტრაკურიკულური პრე-აქსელერაციის პროგრამის განვითარება;
- o კიბერუსაფრთხოებაში ახალი ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის შექმნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და შპს – ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე, აშშ-ის ადელფაის უნივერსიტეტთან პარტნიორობით;
- o ICT ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების უზრუნველსაყოფად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და ICT საგანმანათლებლო-ინდუსტრიულ-სამეცნიერო ჰაბის დაფუძნება.

❖ **განათლების მეცნიერებების მიმართულებით:**

- o უმაღლესი განათლების, კვლევის და ინოვაციების სამაგისტრო პროგრამის შექმნა და პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაცია;
- o სადოქტორო განათლების ხელშეწყობი საპილოტე განყოფილების შექმნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დოქტორანტურის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება თსუ-ს განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში, კავკასიის უნივერსიტეტსა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში;
- o STEM მიმართულების გაძლიერება და კურიკულუმში ინოვაციური მიდგომების განვითარება განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტსა (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში) და პედაგოგიკის ფაკულტეტზე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში), ასევე უნივერსიტეტსა და საპილოტე სკოლებში STEM ლაბორატორიების შესაბამისი რესურსებით აღჭურვა.

6. შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერება

აღსანიშნავია CIF-ის წვლილი საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერებაში. დაფინანსებული პროექტების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა პროგრამების ინდუსტრიასთან რელევანტურობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება. CIF-ის ორივე კონკურსის ფარგლებში შრომის ბაზართან კავშირები გადრმავდა როგორც ინდუსტრიის ჩართულობის, ისე პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გაძლიერებით.

